საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 35 2020 წლის 20 თებერვალი ქ. თბილისი

„მ. მაღლაფერიძის სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორად დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 6 მარტის №45 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (2019 წლის 11 დეკემბრის N5462-Iს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, „მ. მაღლაფერიძის სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორად დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 6 მარტის №45 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ. მაღლაფერიძის სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორად დანიშვნის შესახებ“.

2. ბრძანების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაინიშნოს მერი მაღლაფერიძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორად.“.

გიორგი გახარია